საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 38 სექტემბერი 8 1896 წ. № 38

შინაარსი: ჩვენი საჭირ-ბოროტო.—რა არის პოლიტიკა? გ. წერეთლისა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—„კვალის“ კორესპონდენციები.—არა, არ მინდა, ლექსი კ. ზურაბიშვილისა.—უცხოეთიდან (სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში) ნ. ჟორდანიასი.—ჰარმონიული ეტიუდი, კრიტიკა ი. ნაკაშიძისა.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—კარცერი და ტიკჭორა, ძველის ძველი ამბავი, (გაგრძელება) ჰ. გოთუასი.—ტრაკი და ეერძო განცხადებანი.—

№ VIII „ჯეჯილისა“ გამოვიდა და დაფრიგდა ხელის მომწერლებს.

„კვალის“ ხელის მომწერლებს მოვაგონებთ, გისურ ფული არ შემოუტანიათ, დროზე შემოიტანონ.

ჩვენი საჭირ-ბოროტო.

ვინც კი დაჰკვირებია ჩვენ დალოცვილ ცხოვრებას ყოველ წლივ ამ დროს ხედავს, რომ ჩვენი ხალხი დიდ ფაცაფუცშია... დიდი და პატარა აქაური და სხვა ქალაქებიდან მიესწრაფებიან სკოლებში, ცდილობენ დაებინაონ ყმაწვილები, არ ზოგავენ არა ფერს და თუნდ ჯიბე არ მოდეედეთ, მაინც ასე თუ ისე შვილებს სწავლის გზას უხსნიან. ჩვენ ვიცნობთ ბევრს იმისთანეებსაც, პანსიონში გასაზდელათ თვეში ოთხ თუმანზე მეტიც გამოუღიათ, ოღონდ შვილი მოემზადებინათ გიმნაზიის დასაწყის კლასებში. მართალია, დაბალ კლასებში მოსწავლე ქართველები შედარებით იმ პროცენტისა, რომლებიც ათავებენ კარგა სამყოფია. მაგრამ გაიელის დრო და თან-და-თან მათი რიცხვი მცირდება, უფროსს კლასებში ქართველები სულ ცოტა-ღა რჩება. ისიც მართალია, რომ ზოგიერთები პირველ შაგირდათაც ათავებენ, მაგრამ მაინც ჩვენი ქართველების საქმე კარგათ არ მიდის—ახალგაზდა თაობა სხვა და-სხვა სპეციალური სწავლით აღჭურვილი და უფლებებით შემკული ცოტა გვყავს და ამის მიზეზს ჩვენში სხვა-და-სხვა ნაირათ ხსნიან. ზოგი ქართველების ზარმაცობას და უხასიათობას აბრალებს, ზოგი სიღარიბეს და არიან ისეთნი სულით დაბლები, რომ ამბობდენ კიდეც ერთ დროს ვითომ ქართველების თავის ქალა ისე არისო მოწყობილი, რომ უნიჭო უნდა იყვენო. ჩვენის აზრით, ქართველებისაგან სწავლის დაუმთავრებლობა აიხსნება იმ ერთი უმთავრესი მიზეზით, რომ როდესაც მამას ჩამოჰყავს პირველათ შვილი—რვა წლის ყმაწვილი და აბარებს ჩვენ განთქმულ პანსიონებში, ფულებსაც ბლომათ აძლევს, მაგრამ პირობათ უდებს, რომ მისი ბავში რაც შეიძლება მალე მოამზადონ; ოღონდ მიღებული იყოს მათი ბავში სახელმწიფო სასწავლებელში და დედ-მამას სხვა არა უნდა რა, სხვა არაფერს არ დაეძებს. ამას შედეგათ მოდევს ის, რომ პანსიონიც თუთიყუშივით აზეპირებინებს ყველაფერს, უჩლუნ-

გაეს გონებას გაუგებარი სიტყვების დასწავლით და ახერხებს ისე, რომ ორ სამ წელიწადზე აბარებს ყმაწვილს სახელმწიფო სასწავლებელში.

დედ-მამის სიხარულს საზღვარი არა აქვს. ყმაწვილი კი გიმნაზიაში სანამ ზეპირდასწავლებით გაიტანს რამეს, ეარ-ეაგლახით გადადის კლასებში, მერე კი როდესაც გონების ვარჯიშობაა საჭირო და ბავშს გამჭრიახობა მოეთხოვება, მაშინ მეხსიერებაც დაჩლუნგული აქვს, ტვინიც უსუსტდება და სწავლასაც ველარ აგრძელებს. ამასთანავე იშვიათათ თუ მიეშველება მას სამშობლო კერა, რადგან ყმაწვილები ან შორიდან არიან მოსულები და ან ოჯახი გაუვითარებელი არის. გადის წელიწადები და უკვერს ყველას, ჩვენი შვილები რატომ არ ათავებენ სწავლას.

—წარმოიდგინეთ, ჩიეის ერთი გამწარებული დედა,—ჩემი შვილისთვის არაფერს არ ვზოგავდი. ხშირათ მე მშიერი ვრჩებოდი, მაგის აღსაზრდელათ კი პანსიონში თვეში ოთხ თუმანს ვაძლევდი სამი წლის განმავლობაში და დახეთ უბედურებას მეოთხე კლასამდის ძლივს მიახწია და უნიჭობით გამომიგდეს სასწავლებლიდან. ხშირათ მესმის ამ გვარი ჩიეილი...

რა არის პოლიტიკა?

ადგან „კვალს“ მიენიჭა ვრცელი პროგრამა და გადაიქცა დამოუკიდებელ ორგანოთ, ამისთვის მას შეუძლია ახლა პოლიტიკაზედაც ჰქონდეს თავისი მიმართულების შესაფერი მსჯელობა.

სიტყვა პოლიტიკა წარმოვებს ბერძნულიდან Polis (პოლის)-ქალაქი. ძველ საბერძნეთში ყოველი ქალაქი თავის გარემო ადგილებით და სოფლებით შეადგენდა მთელ სახელმწიფოს და მაშინდელი საბერძნეთის ვეფე, სახელდობ, მემკვიდრეობით აღჭურვილი ქალაქის მოურავი იყო. აქედან Polites (პოლიტეს)—მოქალაქეთა კრებას, ანუ სახელმწიფო კრებას შეადგენდა.

Politikà (პოლიტიკა) ნიშნავდა საქალაქო, ანუ სახელმწიფო ურთიერთობას. ჩვენ დროში პოლიტიკა არის მეცნიერება სახელმწიფო ცხოვრებისა, ესე იგი მისი პირობების, მიზნის, მიმართულების, მოქმედების და სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულების შესწავლა.

ჩვენც თანახმათ ამ განმარტებისა ვეცდებით ჩვენს პოლიტიკურ ქრონიკებში შეძლებისამებრ დავანახოთ მკითხველებს, თუ რა მდგომარეობაში არიან დღეანდელნი სახელმწიფონი, ვინც კი გამოსულან მსოფლიო ასპარეზზე ისტორიულ მოქმედებისათვის, რა მ-სწრაფება აქვთ იმათ, როგორ დამოკიდებულებაში არიან ისინი, როგორი განწყობილება აქვთ იმათ ერთმანეთ შორის და რამდენათ დამოკიდებულია მათ განწყობილებაზე ერთა წარმატება და იმათი ბედისწერა. დღეანდელი პოლიტიკა რომ ზედმიწევნით შევიგნოთ, ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ. სანამდის დიდი რევოლუცია მოხდებოდა საფრანგეთში წარსულ საუკუნის გასულს, პოლიტიკა შეიცავდა მხოლოთ მაშინდელ სახელმწიფოთა ცარცვა-გლეჯას და ერთმანეთში შესევას. მხოლოთ ინგლისმა დაამთავრა იმ დროს თავისი შინაგანი ხელმწიფობის უზრუნველყოფა გარეშე შემოსევისაგან. ინგლისის სახელმწიფო მდებარებდა ზღვაში, გარშემორტყმული ჰქონდა აუარება სამხედრო და საეაჭრო გემთა გროვა, ასე რომ მას ვერავინ შეეცილებოდა თავის ქვეყანაში და ის კი მეფობდა ზღვაზე, ეაჭრობით მდიდრდებოდა, სხვა სახელმწიფოების კოლონიებს ნელნელა იგდებდა ხელში და აუმჯობესებდა თავის საკუთარ შინაურ სახელმწიფო გამგეობას, ფენდა ხალხში კეთილმდგომარეობას. სხვა ევროპის სახელმწიფოებში კი ასე არ იყო. ესენი მუდამ მტრობდენ ერთმანეთს, იყო დაუბოლოოებელი ომი გერმანიასა და საფრანგეთს შორის, ისპანიასა და მცირე სახელმწიფოებს შორის, როგორიც მაგალითათ იყო პორტუღალია, ჰოლლანდია, ბელგია და სამხრეთი იტალიის სამთავროები. ამასთანავე ძლიერი ოსმალეთიც იწვოდა მათზე და დიდ შიშში აგდებდა დასავლეთ ევროპას. ამ დროს რუსეთის ხელმწიფობაც გამტკიცდა, დაეტაკა ოსმალეთს და ძალიან შეასუსტა. წაართვა ყირიმი, გაათავისუფლა მცირე როსია მის გავლენიდან და ეშურებოდა კავკასიის და სლოვენთა სამთავროების ხელიდან გამოგლეჯას. როდესაც საფრანგეთის დიდი რევოლუცია შემხადდა, იმ დროს, აი, რა მდგომარეობაში იყო მთელი ევროპა: ჩრდილოეთ იტალია და პაპის სამთავრო ავსტრიის ხელმწიფეს ეჭირა; მთელი ბალკანია და სლოვენთა სამთავროები: სერბია, ჩერნოგორია, ბოლგარია, ბესარაბია, ერთი ნაწილი პოლშისა და სამხრეთის მხარე მცირე როსიისა პრუტის მდინარემდე ოსმალეთს ჰყავდა კლანჭებში გამოკლული. რუსეთს პოლშა და ყირიმი დაეპყრო და თავისი გავლენა კავკასიის აქეთა მხარეზე გადმოეტანა: საქართველოს მეფენი და იმათი მთავრები თავს მფარველობას ქვეშე შეეყვანა. ამ დროს ევროპის ნიადაგზე პოლიტიკა შეიცავდა ძალმომრეობას; სახელმწიფოები ფიქრობდენ მხოლოთ ერთმანეთში შესევას, წართმევ-წაგლეჯას. ეროვნების კეთილმდგომარეობის ნასახი არსად ჩნდა, ერი და ხალხი ყოველგან ხელმწიფობის მიერ შეწუხებული იყო. სუფევდა მხოლოთ ზეცას ღმერთი და ქვეყნათ ხელ-

მწიფე მირონცხებული, რომელსაც ხალხი მით უფრო თაყვანს სცემდა, რამდენათაც ხელმწიფე უფრო ძალმომრეები იყო.

ამ დროს საფრანგეთმა უყივლა დაჩაგრულ ერებს და წინ დაუხატა თავის მომავალი მიზანი სამი სიტყვით: ,,ძმობა, თანასწორობა და თავისუფლება" (la liberté, egalité, fraternité). მაშინ საფრანგეთმა დაარღვია ძველი პოლიტიკის ვითარება და ფეხქვეშ გათელილი ეროვნება ზეზე წამოაყენა. ამის შედეგი იყო დაჩაგრული ერების გამოფხიზლება და შეგნება, რომ ყოველი ერი თავისუფალი უნდა იქნეს და თავისი შინაგანი პოლიტიკური ცხოვრება თითონ უნდა მოაწყოსო. ამ სახით მთელი მეცხრამეტე საუკუნის სამი მეოთხედი, ესე იგი სამოცდა თუთხმეტი წელიწადი, ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა პოლიტიკა და თითქმის ყველა დაჩაგრული ერები ევროპის ნიადაგზე განთავისუფლდენ უცხო ტომის ბატონობისაგან და თანასწორ სამოქალაქო უფლებაზე დაამყარეს თავისი შინაური სახელმწიფო გამგეობა. უკანასკნელი მებრძოლი ეროვნების თავისუფლებისათვის შეიქნა ბისმარკი, რომელმაც დააგვირგვინა გერმანიის ნაციონალური ერთობა. მაგრამ იმანვე ამ პრინციპს უღალატა, დაუდვა საზღვარი შემდეგი მცნების წამოყენებით: ,,Beati possidentes"—,,ნეტარ არიან დამპყრობნიო". ამ პრინციპის აზრი ნამდვილი დავიწყებული საშუალო საუკუნის პოლიტიკის განახლება იყო. ვინც რა დაიპყრო, იმას ნურარავინ შეეხებაო. აქედან წარმოდგა საერთა-შორისო პოლიტიკაში ის სწავლა, რომ ყოველი ხელმწიფობა თავის შინაგან საქმეში ხელშეუხებელია. მის ხელქვეით დამორჩილებულ ერს მხოლოთ დარჩენია მორჩილება და, რაც უნდა ტანჯვაში იყოს, უფლება არა აქვს განუდგეს თავის მჩაგვრელს და, თუ განუდგა, თვითონ უნდა აგოს პასუხი. გარეშე სახელმწიფოს უფლება არა აქვსო ხელი გაუწვდინოს, ან შეეწიოსო მას; თუ ასეთი დაჩაგრული ერი განუდგა თავის მპყრობელ ხელმწიფეს, მას ნურავის იმედი ნუ ექნება, თუნდ რომ მისმა მპყრობელმა ის სრულებითაც გაჟლიტოსო. ამ მხრით ბისმარკმა რაკი ეროვნული თავისუფლების პრინციპი გერმანიის ერის შეერთებისთვის გამოიყენა, მერე უარი თქვა იმავე პრინციპზე დი ძველი ფეოდალური შეხედულება დაამყარა პოლიტიკაში. ამით მან დიდი თანაგრძნობა და სიყვარული მოიგო იმ ხელმწიფეებისა, რომელთაც ჰყავდათ გარეშე ტომის ერები თვის უფლებას ქვეშ და არაფრათ ეპტნავებოდათ ნაციონალური პრინციპი ერების განთავისუფლებისა, მეცხრამეტე საუკუნეში წამოყენებული დიდი რევოლუციის წყალობით. რა ანგარიში ჰქონდა ბისმარკს, რომ ეროვნული თავისუფლების პრინციპი ძველებურ ფეოდალურ პოლიტიკის პრინციპათ შეცვალა?.. ის, რომ გათავისუფლებულ გერმანიას ერთი ნაწილი პოლშის ქვეყნისა, რომელსაც ეწოდება სილეზია და პოზნანის მაზრები, დღესაც კლანჭებში ჰყავს გამოკლული და არ უნდოდა ისინი ხელიდან გაეშვა. სანამ ნაციონალური თავისუფლების პოლიტიკა გერმანიის ერთობას მსახურებდა, მანამდის ბისმარკიც წარმატების გზას ადგა, მაგრამ როცა თავის გულის წადილი შეისრულა, მერე კი მოატრიალა თავისი მიმართულება და დაამყარა ევროპაში ხელმწიფობის გარეშეუსაზღვრელი მოქმედება. ამ სახით ბისმარკი შეიქნა ევროპის პოლიტიკაში რეაქციის, ძველი მიმართულების წარმომადგენელი...

გ. წერეთელი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

გაზ. „Нов. Об."-იის სიტყვით 5 ენკენისთვიდან დაიწყება ქ. ქუთაისში, სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით, კრება მაზრის უფროსთა იმ კითხვის გამოსარკვევათ, შეუძლიათ თუ არა მცხოვრებთ, რომელთაც გასულ წელს ზარალი მიეცათ წყალდიდობის, დიდ-თოვლობის და სხვა-და-სხვა გადამდებ სენის გამო, თავის დროზე შეიტანონ სახელმწიფო გადასახადი და ბეგარა და საჭიროა თუ არა შუამდგომლობა გადასახადთა ვადის გადადებისათვის. ამ კრებაზე მიწვეული არიან აგრეთვე საბეგრო ინსპექტორები და მმართველი თფილისის სახაზინო პალატისა, ბ. ვერეტენნიკოვი.

***

ფრიად სასიამოვნოა, რომ ზოგიერთ ქუთათურ ქართველ ქალებს, რომელთაც ახლათ სწავლა დაუმთავრებიათ ქუთაისის გიმნაზიაში, გაუხსნიათ საკუთრივ ქალებისთვის სასწავლებელი. ვისურვებთ, რომ ამ მძიმე საქმეს გაუძლევენ კარგათ.

***

გაზეთ „კავკაზში" დაბეჭდილია შემდეგი წერილი მცხეთის მონასტრის წინამძღვრისა, ნინოსი: ,,ჩვენამდის მოაწია ამბავმა, რომ ზოგიერთი პირები თურმე წერილით და პირადათ თხოვენ სხვა-და-სხვა ქველმოქმედ პირებს შეწირულებას ჩემდამი რწმუნებული

წმ. ნინო-განმანათლებელის მცხეთის მონასტრის სასარგებლოთ, ვითომ და ჩემი მინდობილობით. მე ვაცხადებ საყოველთაოთ, რომ არც წერილით და არც სიტყვით არ მიმიცია ნება შეწირულების მოგროვებისა და არც ვისმესგან მიმიღია“.

ეს ამბავი საგულისხმოა და ჩვენდა საუბედუროთ ხშირათ მოხდება ხოლმე. მოიპოვებიან იმისთანა ვაჟბატონები, რომელთაც არც ჩამომავლობით და არც განათლებით არ შეჰფერის სხვის სახელობით ფულის მოგროვება და მითვისება.

*
* *

თფილისის ქალაქის საბჭოს სხდომები დაიწყება 9 ენკენისთვეს. ამ დღისათვის დანიშნულია, გასარჩევათ, სხვათა შორის, შემდეგი საქმეები: ქალაქის გამგეობის მოხსენება ახალი სამკურნალო წესდების შემოღების შესახებ; გამგეობის მოხსენება პირველდაწყებითი სახელოსნო სასწავლებლების გახსნის შესახებ თფილისში, წყლის არხის სახელოსნოს გასაშინჯავათ კომისიის ამორჩევა, თფილისის გუბერნატორის წინადადება სიფილიდოლოგთა კრებაზე პეტერბურგში წარმომადგენელის გაგზავნაზე, გამგეობის მოხსენება ქალაქის მონაწილეობის მიღებაზე პოლიციის ხარჯში და სხვ. ასე და ამნაირათ თფილის ქალაქის საბჭო რამდენიმე თვის გაჩერებას შემდეგ კვლავ იწყებს თავის მოქმედებას. მომავალში ვეცდებით, რომ ჩვენი დედა-ქალაქის საქმეებს თვალყური ვადევნოთ და შესაფერათ დავაფასოთ იმ დაწესებულების მოქმედება, რომელზედაც ჰკიდია ამდენი ხალხის ბედ-იღბალი, რასაკვირველია, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება.

*
* *

გაზ. „კავკაზის“ ბაქოელი კორესპონდენტი ასე გვიხატავს „შავი ქალაქის“ (Черный Городъ) ანტისანიტარულ მდგომარეობას: „რა არის აქ მილიონების გვერდით? უზარმაზარი ტბები გავსებული ნავთით და ყოველგვარი უსუფთაობით; იქვე ყრიან მაზუტში ჩამხჩვალი ცხოველები. ამასთანავე არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს მუშების ბინის უკიდურესი, არა-ჰიგიენური მდგომარეობა. ისინი სახლებში კი არ ცხოვრებენ, არამედ რაღაც ბოსელში, უჰაეროთ და უსინათლოთ. საზოგადოთ „შავი ქალაქის“ მუშები მეტათ შევიწროვებული არიან საჭმლის მოპოვებაშიაც. თუმცა დუქნები კია და კიდევაც სანდოთაც იძლევიან, მაგრამ ტყავსაც აძრობენ. წყლის და აბანოების უქონლობა, ცხოვრება მუდამ მჭვარტლში, კვამლში და ჰაერში, რომელიც გაჟღენთილია სულის შემხუთავი გაზებით,—აი, საზოგადო სურათი მუშების მდგომარეობისა, იმ მუშებისა, რომლებზედაც ჰკიდია ნავთის წარმოების წარმატება. სწორეთ შეუძლებელია სხვა რამე ამნაირი ოქროს მომტანი მრეწველობა, რომლის საშუალებით ერთ თვალის დახამხამებაში მდიდარი გახდე. ამას წინეთ მე ყური მოვკარი საუბარს ერთი ნავთის შადრევანის შესახებ, რომელიც უკვე ოთხი თვეა რაც მოქმედებს და ყოველ დღე აძლევს თავის პატრონს 60 – 80 ათას მანეთამდის წმინდა მოგებას. სხვაგან სად მოხდება ეს“?

*
* *

† სოფ. ველისციხეში ამ დღეებში გარდაცვლილა ნიკოლოზ სიმონისძე გამრეკელი, 60 წლის, რომელსაც დიდ პატივსცემდა ადგილობრივი საზოგადოება. ნ. ს. გამრეკელი ეკუთვნოდა იმ გვამთა გუნდს. რომლებიც თავის პიროვნულ ინტერესებს საზოგადო სამსახურს ანაცვლებენ. სასულიერო აკადემიაში სწავლის დამთავრებას შემდეგ ორმოცდაათ წლებში ის შევიდა სამსახურში, სადაც კარგი სახელი მოიპოვა. მართებლობის წინადადებით მან გადათარგმნა ქართულ ენაზე წესდება სასოფლო მმართველობაზე. მან გადათარგმნა აგრეთვე სამოქალაქო და სისხლის სამართლის წესდება.

ნ. გამრეკელი ყოველივე კეთილ საქმეში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა, წერდა ადგილობრივ გამოცემებში სხვა და-სხვა სასარგებლო საქმეების შესახებ და სხ.

ამას გარდა ნიკოლოზს უყვარდა არქეოლოგია, საკმარისათ იცნობდა აღმოსავლეთის ისტორიას. იმის ცალკე გამოცემულ წიგნებში დავასახელებთ: „ეგვიპტელები საქართველოში“, „ლექსიკონი“ და სხვა-და-სხვა წერილები ქიზიყის არქეოლოგიურ გამოკვლევათა შესახებ. მრავალი წერილები დარჩენილა კიდევ დაუსტამბავი, სხვათა შორის: „წერილები ასურელებზე და პელაზგებზე“, „შენიშვნები ბაქრაძის ისტორიაზე“ და „სასამართლო წესდების“ თარგმანი. ამ რამდენიმე თვის წინეთ ნიკოლოზ გამრეკელი გავიცანი თფილისის საჯარო წიგნთ-საცავში. იმ დროს მე ხშირათ დავდიოდი იქ, სადაც ჩემ განსაკუთრებით ყურადღებას იქცევდა, სხვათა შორის, ერთი მოხუცი, რომელიც გასაკვირალი ენერგიით აუტანელ სიცხეში შინჯავდა რაღაც დაძველებულ და გამტვერიანებულ წიგნებს. შემდეგ ერთი ჩემი ნაცნობის საშუალებით მე გავიცანი ეს მოხუცი, რომელიც ნიკოლოზ გამრეკელი გამოდგა. ის იმ დროს, როგორც მან მითხრა, ჰკრებდა სხვა-და-სხვა ცნო-

ბებს საქართველოს ძველი ისტორიის შესახებ. ამნაირი გამოუთქმელი შრომის მოყვარეობასთან განსვენებული იყო აგრეთვე შესანიშნავი წყნარი ხასიათის და მშვიდობიანობის მოყვარე.

„კვალის" კორესპონდენციები.

იმერეთი. წლევანდელმა ხანგრძლივმა გოლვამ იმერეთში სიმინდები ნახევრამდის დააჭკნო და დაახმო; ზოგან სიმინდს გაუჩნდა ერთგვარი ჭია, რომელიც ძირში ხრავს სიმინდს და ახმობს, ამის გამო ბევრს სარჩოთ სამყოფი მოსავლის იმედიც არ აქვს, თორემ სხვას ვილა ჩივის. სიმინდის ფასის დაკლებამაც დიდი ზარალი მისცა აქაურებს, რომელთა ავლა-დიდებას სიმინდი შეადგენს: ყველა ხარჯსა და მოთხოვნილებას სიმინდის ფასით აკმაყოფილებ. კიდევ დიდი წყალობაა, რომ დაზარალებულ ხალხს ყურადღება მიექცა, უკანასკნელი წლის ხვედრი ნახევარი ფოსტის ფული და მიწის გარდასახადიც ეპატიათ, რომელმაც დიდი შეღავათი მისცა ხალხს. გაჭირების გამო ბევრგან მღვდლებსა და დიაკვნებს ორი წლის ხვედრი დრამის ფული არ აუღიათ; მასწავლებლები დიდი სიმწარით, ბევრ გაჭირებას შემდეგ იღებენ წარსული თვეების ჯამაგირს.

კიდევ ბევრი არაფერი იქნებოდა, რომ აქაური გლეხის ეკონომიურათ დაქვეითების მიზეზათ მარტო სტიქიონისა და ბუნების მოვლენა იყოს, მაგრამ ამას გარდა ყველაზე უფრო თავ-მიზეზათ ხალხის უმეცრება უნდა იქმნეს აღიარებული. იმერეთში ხალხში წიგნების კითხვა ძალიან მცირეთ არის გავრცელებული; წიგნების წაკითხვას დაჩვეულები თუ არიან ისევ ზოგიერთი სოფლის ინტელიგენცია. ზოგიერთი მეთქი ვამბობ მისთვის, რომ იმისთანა სოფლის მასწავლებელი და მღვდელი იშვიათი არის სოფელში, რომელთაც სასწავლებელში სწავლის დასრულებას შემდეგ ერთი რამე წიგნი აეღოთ ხელში წასაკითხათ. ზოგიერთი ვითომ და ცდილობს წაიკითხოს და გაიგოს რამე, მაგრამ რა გამოვიდა აქედან? ბევრი თავის ცოდნას, თავის სწავლას ანდომებს უფრო ხშირათ პიროვნულ სარგებლობას, თავის მდგომარეობის გაუმჯობესობას, ხოლო ერი, იმისი საჭიროება და საზოგადო მოთხოვნილება, ე. ი თავისი ზნეობრივი მოვალეობა საზოგადოების წინაშე ბევრს არაფრათ მიაჩნია.—ბევრი სოფლის მასწავლებელი „ჩინოვნიკობას" უფრო მიდევს, ვინემ ნამდვილ ხალხის მასწავლებლობას, თორემ იმ სწავლის ხალისთან, რომელსაც საზოგადოთ იმერლები იჩენენ, გონიერი სწავლა-აღზრდით დიდ სარგებლობას მოუტანდენ მასწავლებელნი საზოგადოებას.

ეჭვი არ არის ალაგ-ალაგ სასიამოვნო მოვლენასაც ვამჩნევთ; საგულისხმო აქ ის არის, რომ სასარგებლო საქმის მოთავენი და გამძღოლნი არიან სულ უბრალო პირები, რომელთაც თავისი მეცადინეობით ქართული წერა-კითხვა შეუსწავლიათ, წიგნები უკითხავთ, გონება გაუხსნიათ და დღეს, როცა ჰხედავენ უმეცარ ხალხს, უნდათ მასში სინათლე მოაფინონ და როგორც გაუვათ ცდილობენ ამისათვის. ამისთანა ამბავს ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ. დ. აბაშაში, მაგ., ბ. დოლიძეს შეუდგენია თავისათვის წიგნთ საცავი ქართული წიგნებისა, რომლებსაც დიდი ხალისით და სიამოვნებით აწვდის წასაკითხავ თ ადგილობრივ მკვიდრთ. საინტერესოა ამასთანავე აქვე აღვნიშნოთ, რომ ამ რამდენიმე წლის წინეთ აქ ფულებიც კი შეაგროვეს წიკნთ-საცავის დასაარსებლათ მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ფულები ერთი ინტელიგენტის წყალობით ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ ვერავინ გაიგო.

მეორე სასიამოვნო ამბავი. დ. სამტრედიის მახლობლათ ერთ ახალგაზდა ყმაწვილს, ბ. ნანეიშვილს, გაუმართავს თავის სახლში საკუთარი წიგნთ-საცავი ქართული წიგნებისა. ბ. ნანეიშვილი დრო-გამოშვებით კვირა-უქმე დღეებში იწვევს თავის სახლში ხალხს, რომელსაც უკითხავს კარგ შინაარსიან წიგნებს და ამნაირათ აჩვევს ხალხს წიგნების კითხვას; სახლშიაც არიგებს წასაკითხავათ. დიდი სიამოვნებით დავესწარი ამისთანა საზოგადო კითხვას ამ ორი კვირის წინეთ; ხალხი ბლომათ იყო. წაიკითხეს: „დიმიტრი თავდადებული", „დედა და შვილი" ილ. ჭავჭავაძისა, რამდენიმე მოთხრობები გურიის ცხოვრებიდან. უნდა გენახათ როგორი ყურადღებით ისმენდა ყველა ქალი და ვაჟი წაკითხულს, ბაასობდენ წაკითხულის შესახებ. საზოგადოთ ჩანდა, რომ წაკითხულის შინაარსი საკმარისათ შეეგნოთ, რასაც ხელს უწყობდა მკაფიო და შვენიერი კითხვა ბ. ნანეიშვილისა და კალაძისა; უკანასკნელმა, სხვათა შორის, შვენივრათ წაიკითხა ზეპირათ ბარათაშვილის მერანი. აი, ამისთანა საზოგადო კითხვების გამართვა, რომელიც შეადგენს კვირა-უქმე დღეებში სასარგებლო და სასიამოვნო დროს გატარებასაც, შეუძლია სოფლათ ყველას, ვისაც კი სურს სამსახური გაუწიოს თავის ხალხს.

Ignotus

*
* *

სად. სამური. აქაური რკინის გზის ექიმები მეტის-მეტ უდიერათ ექცევიან ავათმყოფთ, რომლებიც რკინის გზის სამსახურში ითვლებიან.

საწყალ ავათმყოფებს ძლივს ალირსებენ ხოლმე აფთიაქის გაღებას, მაგრამ ბევრ ჯერ წამალი არც კი აქვს მიღებული, რომ მალე ისევ დაჰკეტენ და გამოაცხადებენ: „წადით, ამაზე მეტხანს რომ ღია გვქონდეს, ნება არა გვაქვს; ხვალ შეგიძლიათ მოხვიდეთო“. რასაკვირველია, თუმცა მეორე დ. ეს ავათმყოფები დანიშნულ ვადაზე მიდიან, მაგრან ისევე გუშინდელი ამბავი განმეორდება და უნუგეშოთ ბრუნდებიან ხოლმე უკან. კიდევ კარგი, თუ კაცი მძიმე ავათმყოფი არ არის, სიარული შეუძლია. მაგრამ რას ვამბობ! აქაურ აფთიაქში განა მძიმე ავათმყოფს გარდა გაბედავს ვინმე მისვლას? ვაი, იმ ავათმყოფის ბრალი, რომელსაც ფეხზე დადგომა შეუძლია და ავათმყოფობას გაცხადებს. მაშინვე გამინჯევის უმალ მიახლიან: „შენ ავათმყოფობას მიტომ იგონებ, რომ სამსახური გეზარებაო“. ამას შემდეგ მეტი გზა არ არის: ავათმყოფმა ან სამსახური უნდა განაგრძოს, ან არა და მხოლოთ მაშინ უნდა გაბედოს აფთიაქში მისვლა, როცა ხელით სათრევი გახდება. აი, ამიტომაც ხშირათ აფთიაქის დერეფანში, მტვრიან იატაკზე, ჰყრიან ავათმყოფები და თან ხვნეშიან. სწორეთ საკვირველია აქაური მკურნალების საქციელი. ეს დალოცვილები თუ კი მძიმე ავათმყოფებს გარდა არავის უწამლევენ, ორიოდე ტახტი მაინც დადგან, რომელზედაც ავათმყოფთ შეეძლოთ მოსვენება, ვიდრე ყურადღებას ალირსებდენ. გარდა ამისა საჭიროა იმდენ კაცთ-მოყვარეობას მაინც გამოიჩენდენ, რომ ვინც უფრო მძიმე ავათმყოფია, იმას უფრო ადრე მიაქცევდენ ყურადღებას.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ამას ჩადიან ხაზინის ერთგულობისთვის: არც წამალი დაიხარჯება და არც სამსახურს მოვაცდენთო. მაგრამ ასეც რომ იყოს, მაინც ვერაფერი ერთგულება და ხაზინის შესამატია ავათმყოფების უყურადღებოთ მიტოვება და უწამლოთ სამსახურში გასტუმრება. რა სამსახურია ისეთი ადვილი შესასრულებელი, რომ ავათმყოფისათვის ის საძნელო არ იყოს. ავიღოთ, მაგ., გზის დარაჯი, რომლის ვალს შეადგენს, რამდენიმე ვერსის მანძილზე რკინის გზის ლიანდაგი ათვალიეროს და თუ გზა სადმე გაფუჭებულია, მაშინ იმ გაფუჭებულ გზიდან უნდა გარბინოს რამდენიმე საჟენი, მატარებელს წინ უნდა შეხვდეს, ნიშანი აჩვენოს, გააჩეროს და ჩქარა გადაარჩინოს. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ გზის დარაჯი ავათ არის, თავბრუ ესხმება, მუხლები ეკეცება, და ამის გამო კი ზემოხსენებული ვალდებულობა ველარ შეასრულა. რა მოელის მაშინ მთელ მატარებელს, თუ არა დამსხვრევა. ახლა ვიკითხოთ, იქნება თუ არა ეს სასარგებლო ხაზინისთვის?..

იმედია, ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევენ.

სან — ნარი.

არა, არ მინდა!..

არა, არ მინდა სიცოცხლე
ტანჯული გამწარებული,
სული, შემკრთალი — დამფრთხ…
დაგესლილ — დაშხამებული..

—

არ მინდა ენა მეტყველი —
თუ არის დამუნჯებული,
რას მარგებს გული გამტყდარი
და გრძნობა დაჭანგებული.

—

ფრთა შეკვეცილი ოცნება
იმედი გაცრუებული,
ნდომა უძლური, ულონო,
გულს ჩაფლულ — ჩამიწებული.

—

ხმალი ყუაში გამტყდარი
და მკლავი დადუმებული,
სატრფო სხვის ხელში, სხვის კარზე
მდუღარეთ ატირებული.

—

ჩემი ოჯახი და კერა
აკლებულ — აოხრებული,
მეგობარი და მოყვასი
მიწასთან გასწორებული.

—

და სიჭაბუკე დამჭკნარი
უდროვოთ მოხუცებული
ქვეყნათ უაზროთ, უსაგნოთ
ბედშავათ ატირებული.

—

ცოცხალი ვერ მკვდარს ვჯავდე
ზეზეულ ანდერძ გებული,
რას მარგებს მე ეს სიცოცხლე
წუწკი და გაძაღლებული?

კ. ზურაბიშვილი.

უცხოეთიდან.

სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში

II

სკოლა.

პირველ წერილში მკითხველთ გავუზიარეთ რამდენიმე ცნობა გერმანიის სოფლების შესახებ. ახლა ჩვენ გვსურს გავაცნოთ იმავე სოფლების სკოლა. ამასთანავე ბოდიშს ვიხდი, რომ ამ წერილის გამოგზავნა უდროობის გამო ასე დაგვიგვიანდა.

ევროპაში საზოგადოთ ორ ნაირი ტიპის სახალხო სკოლა არსებობს. მოგეხსენებათ, ერთი და იგივე ერი სარწმუნოებით დაყოფილია: ერთია კათოლიკე, მეორე პროტესტანტი. მრავალ საუკუნოების განმავლობაში მათ შორის ბრძოლა და განხეთქილება იყო. დღეს ესენი შერიგებულან საერთო ნაციონალურ და სამოქალაქო ნიადაგზე. მაგრამ პირველ დაწყებითი სკოლის საქმეში კიდევ განკერძოებული ალაგი უჭირავთ. თითოეულ სარწმუნოების მიმდევართ თავიანთი საკუთარი სახალხო სკოლა აქვთ. გერმანიაში სამ ნაირი სკოლაა პროტესტანტთა, კათოლიკეთა და ებრაელთა, რომელნიც აშენებულია სხვა-და-სხვა ნაირ წეს-რიგზე, სხვა-და-სხვა ნაირი პროგრამით და ემორჩილებიან სხვა-და სხვა დაწესებულებათა. გერმანიის უმრავლესობას პროტესტანტები, ანუ ლიუტერანები (თავიანთ თავს უწოდებენ „ევანგელისტებს", ე. ი. სახარების მიმდევართ) შეადგენენ. ჩვენ მხოლოთ მათ სკოლებზე გვექნება ლაპარაკი. ამნაირათ, გერმანია სახალხო სკოლის ნიადაგზე დაყოფილა. მას არ აქვს ისეთი ნაციონალური სკოლა, სადაც ყველა გერმანელი განურჩევლათ სარწმუნოებისა პირველ-დაწყებით სწავლას ღებულობდეს. ეს კონფესიონალური სკოლაა. მეორე ტიპის სკოლას წარმოგვიდგენს საფრანგეთი. 1883 წელს შემდეგ კონფესიონალურ სკოლები გააუქმეს და შემოიღეს ყველასათვის ერთი ნაციონალური სახალხო სკოლა (ჟიულ ფერის რეფორმები), რაიცა მდგომარეობს შემდეგში: სასწავლო საგნებიდან სრულებით განიდევნა საღვთო სჯული, რაც ასე ყოფს ერის სხვა-და-სხვა ნაწილს და სამაგიეროთ შეტანილ იქნა სწავლა ზნეობის შესახებ, რაც ყველა სარწმუნოების კაცისათვის ერთი და იგივე უნდა იყოს. საღვთო რჯულის სწავლა მიენდო თითონ მშობლებს: თქვენი შვილი რანაირი სარწმუნოებაც გსურთ, იმაში განავითარეთ, გინდ სრულიად უსარწმუნოებოთ დატოვეთ, ეს კერძო საგანია და საზოგადოებას, სახელმწიფოს სინდისის საქმეში არავითარი ჩარევის ნება არ აქვსო. მეორე მხრით, წინ წამოაყენეს ის აზრი, რომ ყველა ფრანგი, რა სარწმუნოებისაც უნდა იყოს, უწინარეს ყოვლისა ფრანგია, საფრანგეთის მოქალაქეა, საფრანგეთის ერის სისხლი და ხორცია. ამ აზრის ხალხში ჩანერგვა და განმტკიცება სახალხო სკოლის საქმეა. მაგრამ რადგანაც ამის შეგნებას ხელს უშლის კონფესიონალური სკოლა, რომელიც აშენებულია იმის მიხედვით, თუ ვინ რა ერის და გვარტომობისაა, ამიტომ მოისპოს ეს განმაცალკევებელი სკოლა და დაარსდეს ერთი ნაციონალური სახალხო სკოლა. ეს კი შესაძლებელია მხოლოთ მაშინ, როცა სადავო საგანი—სარწმუნოება—სკოლიდან გამოირიცხება. ამით სასულიერო წოდების სკოლათ ყოველივე გავლენა დაეკარგა: პირველ-დაწყებითი სწავლა ერთიანათ გაქალაქდა. ამ ტიპის სკოლა მხოლოთ საფრანგეთში არსებობს, გერმანიაში ის სანატრელ, სატრფიალო საგნათ გამხდარა. მასწავლებლები და დემოკრატიული პარტიები მის შემოღებას მეცადინეობენ, მაგრამ ამაოთ, მისი განხორციელება გერმანიის დღევანდელ პოლიტიკურ წყობილებაში ყოვლად შეუძლებელია.

რაკი გერმანიის სახალხო სკოლა სარწმუნოების ნიადაგზე დგას, ცხადია ის ერთიანათ სამღვდელოების ხელში უნდა იყოს. სკოლამ უნდა აღზარდოს ამა თუ იმ სარწმუნოების მართლ-მორწმუნე მიმდევარი, მაგრამ, მეორე მხრით, დღეს საღვთო რჯულის ცოდნით ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია, ცხოვრება გაქალაქდა და გართულდა, ვისაც ამის შესაფერი ცოდნა არა აქვს, ის უთუოთ ცხოვრებაში დამარცხდება. მაშასადამე, სკოლამ უნდა შეიარაღოს ადამიანი არსებობისათვის საბრძოლველათ. აი, ეს ორი დანიშნულება აქვს გერმანიის სკოლას. ვიურტემბერგის სახალხო განათლების დებულება ამბობს: „სახალხო სკოლის მიზანია ახალ-გაზრდობის რელიგიურზნეობრივი განვითარება და სამოქალაქო ცხოვრებისათვის გამოსადეგი საზოგადო ცნობების მიცემა". (მუხლი 79). ამისათვის სწავლის არსებითი საგანია: მოძღვრება სარწმუნოებასა და ზნეობაზე, კითხვა წერა, გერმანული ენა, ანგარიში და სიმღერა (იქ.).

სწავლის კურსი შვიდი წელიწადია, ბავში 7 წლიდან თოთხმეტ წლამდე სკოლაშია. ხშირათ ექვსი წლისასაც სკოლაში აძლევენ, ეს იმ შემთხვევაში თუ ყმაწვილი საკმაოთ განვითარებულია ფიზ-კურათ. ხოლო კანონით სავალდებულო სწავლა შვიდი წლიდან იწყება. როგორც ქვევით დავინახავთ სწავლა სახალხო სკოლით არ თავდება, მას მოჰყვება საკვირაო და გასავძელებელი სკოლა (Fortbildungsschule), რაიცა აგრეთვე სავალდებულოა. სახალხო სკოლა შედგება ოთხი განყოფილებისაგან, პირველი განყოფილება ერთი წლის კურსია, ხოლო დანარჩენი სამი ორ-ორი წლის. ბავშმა ყოველივე საგანი ორჯელ უნდა მოისმინოს, ორჯელ უნდა ისწავლოს. პირველ წელს მოკლეთ, მხოლოთ საზოგადო ცნობები, მეორე წელს უფრო ვრცლათ და შევსებულათ. პირველ განყოფილებაში სხედან ახალ-შემოსული—7 წლის ბავშები, მეორე განყოფილებაში 8 და 9 წლისანი, მესამეში 10 და 11 წლისანი, მეოთხეში 12, 13 და 14 წლისანი. პატარა და დიდები, ახალი და ძველები ერთათ არიან, ამიტომ რომ სწავლის დედა-ბოძი—ორჯელ სწავლა—შესაძლებელი შეიქნას. მაგ., 8 წლის ბავშისათვის სრულებით ახალია ის, რასაც მეორე განყოფილებაში ასწავლიან, ხოლო 9 წლის ბავშისათვის სრულებით ახალია ის, რასაც მეორე განყოფილებაში ასწავლიან, ხოლო 9 წლის ბავშისათვის სრულებით ახალი არ არის, იგივე საგანი წინა წელს მოისმინა და რამდენიმე წარმოდგენა უკვე აქვს. ხოლო ახლა იმავე საგანს ვრცლათ ისწავლის და მის სწავლას ყურს უგდებენ პატარები, რვა წლისანი, ასე რომ ამათაც საზოგადო ცნობები დარჩებათ და შემდეგ წელს უფრო ადვილათ შეითვისებენ. მთელი სწავლა ამ საძირკველზე დგას (გარდა პირველი განყოფილებისა). ორჯელ გაგონება და შეთვისება პედაგოგიის საფუძველია. უამისოთ არ არის პირველ-დაწყებითი სკოლა.

სახალხო სკოლა არის ერთ კლასიანი, ორ კლასიანი და მრავალ კლასიანი, ანუ ერთი მასწავლებლით, ორ მასწავლებლით და მრავალ მასწავლებლით. ეს დამოკიდებულია სოფლის სიდიდის და მოსწავლეთა რიცხვიდან. სოფელი, რომლის მცხოვრებნი 400—500 სულს არ აღემატება, ერთ კლასიანი სასწავლებლითაც იოლათ მიდის, ცოტა მოზდილ სოფლებს ორი და მეტი კლასიანი სასწავლებელი აქვთ. 90 მოწაფეზე უნდა იყოს ორი მასწავლებელი, 180-ზე სამი, 270-ზე ოთხი და სხ. ღარიბ სოფელს სახემწიფო აძლევს წლიურ დახმარებას. შეიძლება, ორი მასწავლებელია საჭირო, მარა სოფელს შეუძლებლობის გამო ზედ-მეტი ხარჯის გაღება არ შეუძლია, მაშინ ხაზინა აძლევს მეორე მასწავლებლის ჯამაგირს. ხშირათ ერთი კლასის შენახვაშიაც ხაზინა ეწევა.

ჩვენთვის საინტერესოა, რასაკვირველია, ერთ და ორ კლასიანი სკოლა. უკანასკნელს შეადგენს დიდი უმრავლესობა პირველი მივარდნილ სოფლების კუთვნილებათ შექმნილა, ხოლო მრავალ კლასიანი, ასე ვთქვათ, გაქალაქებული სოფლების საკუთრებაა, იქ სადაც მეტი შეძლება და ფული ტრიალებს, მაგ., ს. კალმახში [1]) 1910 სული მცხოვრებია, სკოლა კი ხუთ—მასწავლებლიანია და ერთი კიდევ ქალი, რომელიც მოსწავლე ქალებს ხელ-საქმეს ასწავლის. უფროსი მასწავლებელი 70 წლისაა, 40 წელია რაც ამ სოფელში მასწავლებლობს, რის გამო შარშან მთელ სოფლის მონაწილეობით დიდი იუბილეი გადაიხადა. ჩვენ მივედით სწორეთ ამ დღესასწაულის მეორე დღეს და იუბილიარმა გადმომიწყო სხვა-და-სხვა ვერცხლის, ოქროს და სხვა საჩუქრები, რომელნიც სოფელმა, ძველმა და ახალ მოსწავლეებმა, და სხვა-და-სხვა ნაცნობ მეგობრებმ, უძღვნეს. მე ვუთხარი: ჩვენში სოფლის საშუალო სასწავლებლის მასწავლებსაც წილათ არ ხვდებათ ასეთი იუბილეი მეთქი. მან გაიცინა და მითხრა: ჩვენში ეს ასეა, ამდენი ხანია ვშრომობ, თითქმის მთელ სოფელს ჩემგნით უსწავლია, და ამას სოფელიც აფასებს, რასაკვირელია; პირველ მოსულს ამას არ უზამენ; ჯერ საჭიროა თავდადებული შრომა, ნაყოფის მოტანა და მერე პატივისცემასაც მოიპოვებო. შეძლებული სოფელი მეცადინეობს, რაც შეიძლება მეტი მასწავლებელი იყოლიოს, ისე რომ თითოეულ განყოფილებას თითო მასწავლებელი მიუჩინოს. ამ შემთხვევაში საგნები იგივე რჩება, რაც ერთ-კლასიან სკოლაში, მარა ძლიერ ვრცლათ და შინაარსიანათ გადიან. სწავლის ოფიციალური გეგმა იცვლება თანახმათ სკოლის ადგილობრივ პირობებისა. აგრეთვე ზოგ ალაგას ქალთ და ვაჟთ აცალკევებენ და მათგან ცალ-ცალკე განყოფილებას ადგენენ. ყველა ასეთი ცვლილება დამოკიდებულია ადგილობრივი გარემოებებისაგან, რის შესახებაც ქვევით ვრცლათ მოვილაპარაკებთ.

ნ. ყორდანია.

(შემდეგი იქნება)

[1]) აქ ვასახელებთ მხოლოთ იმ სოფლებს, რომელნიც პირველ წერილში მოვიხსენიეთ.

ჰარმონიული ეტიუდი.

(კრიტიკა)

„ბეჩა, რადა მკლავ?" შ. არაგვისპირელისა, „მოამბე",
№ VI, 1896 წ.

მივაქცევ მკითხველის ყურადღებას „მოამბის" უკანასკნელ ნომერში დასტამბულ ბ-ნ შ. არაგვისპირელის ეტიუდზე. სათაურათ აქვს „ბეჩა, რადა მკლავ?" ცოცხალი პატარა სურათია, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ—ორი სურათი, გრძნობით, ხელოვნურათ დახატული. ავტორმა დაგვიხატა ლამაზი პარალელი ჩიტებისა და ადამიანთა სიყვარულილისა. მოქმედება ბაღში წარმოებს. ოთხი მოქმედი პირია პირველ სცენაში: წყვილი ჩიტუნია და წყვილი ქალ-ვაჟი. ჩიტები სიყვარულობენ ხეების ტოტებზე, ადამიანები კი ამ ტოტებს ქვეშა. პირველ სცენაში ამ ორ-წყვილთა შორის მწყობრი თანხმობაა, მხატვრული ჰარმონიაა, და ამ ჰარმონიაში ბუდობს ავტორის ცოცხალი ნიჭი. ბუნების ჰარმონიის გამოსახვა—პოეტის ღირსებაა, მხატვრობის საიდუმლოა.

ბრძენმა გვაუწყა: „ქვეყნიერება დიდებულ ცისარტყელასავით არის ჩვენ თვალ-წინ გადაშლილი, მისი შემომქმედი მზე კი უჩინარია ჩვენთვის, ჩვენს უკან იმალებაო".

მხატვრობაზედაც ეგევე ითქმის: ჩვენ თვალ-წინ ვჭვრეტთ მხატვრობის შუქსა, ხოლო ვერ ვხედავთ მზესა, მის შემომქმედსა.

კრიტიკოსი ვერ მიგვითითებთ, ვერ გაჩვენებთ იმ ცხოველს კერას, რომელიც მხატვრობის ნათელსა და სითბოს მოჰფენს კაცობრიობას. კრიტიკა—წმინდა შუშაა, ბროლია, რომელიც მხატვრობის შუქს თავის გულში გაატარებს ხოლმე, დაარღვევს ამ შუქსა და აჩვენებს ხალხს, რა და რა ტურფა, ფერად-ფერადი სხივებიდან არის შემდგარი მისი ბრწყინვალე ძლიერება და სად „ახლავს ამ სინათლეს ბნელი".

დაუბრუნდეთ ახლა ჩვენ ეტიუდს და შიგ მოცქრიალე ტრფიალთ. ლეო დატრიალებს თავის თინას და ბეღურა თავის ბეღურინას და, როგორც ვიცით, ამ ორ წყვილთა შორის სრული კავშირი, ნათესაობაა სულისა და მოქმედებისა.

სულდგმულთ კავშირი, ერთგვარობა, ნათესაობა—შემოქმედის დიდებული აზრია. ვინ იცის, იქნება ამ კავშირმა, ამ ნათესაობამ აიყვანა ადამიანი იმ მაღალ ხარისხზე, რომელზედაც ის დღეს დგას. ადამიანი—ბუნების განხორციელებული აზრია, ბუნების ხორც-შესხმული ფილოსოფიაა. ადამიანს ისეთივე ადგილი უჭირავს ბუნების მოვლენათა შორის, როგორიც მის ფილოსოფიას მეცნიერებათა შორის. ადამიანი—სული და გულია ბუნებისა, ფილოსოფია—სული და გულია მეცნიერებათა. ფილოსოფია იკვლევს და ხსნის მეცნიერებათა შორის თანხმობას, დედა აზრს, იდეას, უმაღლესი აზრის შუქით განათებულსა, ადამიანი—ხორც-შესხმული თანხმობაა ბუნების მოვლენათა, უმაღლესი გონების, აზროვნების შუქით შემოსილი. ბუნებამ შობა ადამიანი და მათ შორის მამა-შვილური სიყვარულია დამკვიდრებული, და ამ სიყვარულს ულვიძებს, განწმენდს,

ახალ-გვინეის კუნძულის მთავარი.



დასაფლავება ახალ-გვინეის კუნძულზე (ავსტრალიაში).

ᲙᲐᲤᲠᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ (ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ).

უწვრთნის და ასწავლის ადამიანს — მხატვრობა, პოეზია. ხოლო მხატვრობა—პოეზია ყოველად შემძლებელი ღმერთი არ არის: მას არ შეუძლია ახალი გრძნობის შექმნა და დანერგვა ადამიანის სულსა და გულში. მას იგივე დაერქმის, რაც ბრძენმა სოკრატმა თავის ფილოსოფიას დაარქვა: მხატვრობა —პოეზია ადამიანის სულის მხოლოთ ბებია და გამდელია. მხატვრობა შველის და ხელს უწყობს ადამიანის სულის ძეობას, შეილოსნობას და ზრდის ამ სულის ნაშობს. და ადამიანმა შეიყვარა მხატვრობა —პოეზია, როგორც თვისი მოსიყვარულე, ჰუმანური, უანგარო, აღმზრდელი, მას და ბუნებას შორის ერთ გვარობის, განუწყვეტელი კავშირის, მწყობრი ჰარმონიის მაჩვენებელი. ეს არის მხატვრობის ღირსება და საიდუმლო.. და ეს საიდუმლო ტრიალებს ბ-ნ არაგვისპირელის ტრფიალთა შორის.

ავტორმა ამოიღო თვის გულის სიღრმიდან ორი პაწია ჩიტუნია, გადაგვიშალა თვალ-წინ ხეხილების დაფოთლილი ტოტები, შეაფრინა შიგ ჩიტუნები, ამოიყვანა შემდეგ იქიდანვე ყმაწვილი ქალ-ვაჟი, შეუშვა ისინიც ბაღში, და ეს ოთხივე სულდგმული ააცქრიალა და ააჩიკჩიკა თანხმათ და საყვარლათ ღ ჩვენ, მაყურებლებსაც, გული აგვიჩიკჩიკა და აგვითამაშა. როგორ და რათ მოხდა ეს ჩვენი საერთო თამაში და მხიარული ჭიკჭიკი? ქალ-ვაჟს დავეთხოეოთ, და რა არიან ბეღურები ჩვენი და რა ვართ ჩვენ მათი? ავტორი პირდაპირ არაფერს გვეუბნება ამის შესახებ: მან მხოლოთ გააღვიძა ჩვენ გულში გრძნობა ცოცხალი, და ეს გრძნობაა ჩვენი პასუხის მომგები. იგი გვეუბნება, რომ ბეღურები, ქალ-ვაჟი და ჩვენი გული მხოლოთ სხვა-და სხვა კილოსი და ღირსების სიმებია ბუნების ქნარზე, ხმოვანება კი მათი მწყობრათ მუსიკობს.

„Il n'y a rien de sale dans la nature" *) გვეუბნებიან ფრანგები და გვიმტკიცებს ბ-ნი არაგვისპირელი და ჩვენი საკუთარი გრძნობა. სრული ჭეშმარიტებაა. ბეღურების და ქალ-ვაჟის ცოლ-ქმრობაც უბიწო იყო: ამას გვიმოწმებს ავტორის წმინდა განზრახვა და მით გამოწვეული მკითხველის გრძნობა. მწერლების ერთი დარგი, ცოლ-ქმრობის საიდუმლოს რომ მოგვითხრობს, თან ტუჩებს აცმაცურებს და თვალს გვიშვრება ხოლმე და, ხომ მოგეხსენებათ, რომ ამგვარი თვალი და ტუჩების ტკბარუნება ტკბილი და გადამდები რამ არის. თუ მხატვრობამ მტკიცე კანონათ არ დაიდვა ზნეობრივი მცნება: „მარცხენამან შენმან არა იცოდეს, რას მოქმედებს მარჯვენა შენი", ვერაფერ ხვირს ვერ დააყრის ქვეყანას. ზოგიერთი მხატვარი კი, თავისი მარჯვენით მაგალითათ ტურფა მზეთ-უნახავის სპეტაკ გულ-მკერდს რომ გვიხატავს, თვის მარცხენას, თითქო თვის შეუმჩნევლათ, ზედ აფათურებს ხოლმე. ხელების ფათური და ტუჩების ცმაცური კი ერთი დედ-მამის შვილები გახლავან და ქვეყანაში უმისოთაც სახელი შორს აქვთ გავარდნილი.

მხატვრობას უნდა მოჰფენდეს შუქს განზრახვა წმინდა, ვით ნათელი დღე, მხოლოთ მაშინ შეუძლია მას მხატვრულ-ზნეობრივი გაელენა იქონიოს კაცობრიობაზე.

*) ბუნებას ბიწი არ ასდგსო.

ბ-ნი არაგვისპირელი არ ეკუთვნის იმ მწერალთა გუნდს, და ამიტომაც არის, რომ მისი ეტიუდის პირველი სცენა ისევე მუსიკალურათ თავდება, როგორც მუსიკალურათ დაიწყება და მიმდინარეობდა. ორივე ცოლ-ქმარნი, ბეღურები და ყმაწვილები, ვით მუსიკის ხმები დევდენ, დაცქრიალებდენ და დაჭიკჭიკებდენ ერთმანეთს, და ცოლ-ქმრული პიესა დაასრულა ლამაზათ, წმინდათ, სრული ჰარმონიული აკორდით.

რა მოხდა შემდეგ? ‚ტა-ტა-ტა-ტა, ტა-ტა-ტა ტა!“ მქახეთ დაჰქლიველა ბეღურამ და მტრულათ დაუხვდა მისკენ მომავალ თინას. არსად ჩანს ლეო. პირველი სცენის მცინარე ზეცას უეცრათ რაღაც პირ-ქუში ღრუბელი გადაეფარა. დრონი იცვალენ. თინას ნეტარების მზე დაუბნელდა, ჩიტებს კი ლამაზი ბუდე გაუკეთებიათ, ბარტყები გამოუჩეკიათ და საყვარლათ დაჰკრთიან და თავს ევლებიან იმათ. თინა კი თითქო იმათი ბედნიერების დასარღვევათ არის მეორე სცენაში გამოსული და ჩიტები მტრულათ იგერებენ საცოდავს. ქალს გაექცა მისი ვაჟი, თინას გაექცა მისი ლეო და დატოვა იგი ობლათ და უნუგეშოთ; ცოლ-ქმარი ჩიტები კი დაოჯახიანდენ, დაწვრილშვილდენ და მათი პაწია ბუდე—სიყვარულისა და ნათელი ბედნიერების ბუდეა.

აქ, მეორე სცენაში, პოეზიის მეორე ძალა მუშაობს—მხატვრული კონტრასტი: ცხოვრების ორი წუთის, ორი მომენტის წინააღმდეგობა, და ამ კონტრასტის შედეგი, მისი ნაშობი—მაინც ნათელია, თუმცა მწუხარე, მაგრამ მაინც წმინდა და უმწიკვლო, როგორც პირველი სცენის ბედნიერი შუქი. ამ კონტრასტის მძლავრი მოქმედება იმაშია, რომ პირველი სცენის ნეტარებას არღვევს ადამიანი, უმაღლესი გონიერებით და უწმინდესი გრძნობებით შემოსილი არსება. ლეომ უღალატა თავის ორსულ საცოლოს, ჩიტუნიას ქმარი კი თავისი ცოლის ბუდეს დარაჯობს და მის მტერს იგერებს. დაეცა ადამიანის ღირსება, ,,წაეცხო ჩირქი ტაძარსა წმინდას‘‘ და ბუნების ჰარმონიის დამცველათ დარჩა მხოლოთ პატარა, საცოდავი ჩიტი. მეორე სცენის აზრი და მნიშვნელობა ამ მომენტშია გამოხატული. მწუხარე გრძნობას უღვიძებს ეს სცენა მკითხველს, მაგრამ რაღაც უცნაური მანქანების ძალით ეს გრძნობა თითქო მკურნალ ნაღვლათ არის გადაქცეული. სად იმალება ამ საიდუმლოს კლიტე, ამ გამოცანის ახსნა?—ღრმა მწუხარების სცენა იმავე დროს რაღაც უცნაურ სიამოვნებას ჰგვრის მკითხველს; მის სევდას თითქო რაღაც სიტკბო ურევია; უიმედობის სურათი რაღაც იმედებს უღვიძებს გულში. ეს საიდუმლო მხატვრობის საიდუმლოა. მხატვარმა ნათელთან ერთათ დაგვიხატა ბნელი და დაგვიხატა ისე, რომ მით უფრო ცხადათ, უფრო თვალ-საჩინოთ დაგვანახვა ნათელის ბრწყინვალე ძლიერება და ადამიანის გულში დაბადა მისი კეთილი მკურნალი—ბოროტების წინააღმდეგი პროტესტი; და ამ პროტესტის ძალა—ნათელის ნაშობია, მისი მკვიდრი შვილია. ამ ნათელში დაამტკიცა ქრისტემ თვისი ტაძარი, ,,რომელს ვერ დაამხობენ ბჭენი ჯოჯოხეთისანი‘‘, და მხატვრობაც ამ წმინდა ტაძარს ემსახურება, ემსახურება იმ უდიდესი პოეტის აღთქმას, რომლის სახელი იყო—იესო ქრისტე.

იქ, ეტიუდის პირველ სცენაშია მეორე სცენის გასაღები—კლიტე. იქ, იმ ბუნების ჰარმონიაში მოჩუხჩუხებს ცხოვრების წყარო, რომელმაც მორწყო მეორე სცენა და მხატვრობის დაუშრეტელი ძალა შეგვატყობინა. ამ ცხოვრების წყალს ჰქვია ადამიანური, ჰუმანური სიყვარული, და ეს სიყვარული შეგვატყობინა ჩვენმა ავტორმა, სიყვარული ნაღველნარევი, წუთი-სოფლის სიავის სურათით შეწუხებული, მაგრამ მაინც იმდენათ ძლიერი, რომ რაღაც იმედებს გვიხატავს მომავალში. ეს იმედები მხატვრობის ძალაა, მისი სიტყვების, მისი სურათების კილო, ტონი, ის შუქი, რომელიც, ავტორის შეუმჩნევლათ, ყოველ მის სურათს ეფინება ხოლმე, და ისე აშვენებს მის ნაწარმოებს, როგორც ღიმილი—ადამიანის სახეს.

პირველი სურათის ბედნიერი ღიმილი მწუხარების ღიმილათ შეცვალა, მაგრამ ორივეს მაინც სიყვარული ჰქვია სახელათ და ეს სიყვარულია ქვეყნის მაცხოვარი.

ავტორმა ჩაგვახედვინა ბედ-შავი თინას გულში და დაგვანახვა შიგ სამწუხარო აურ-ზაურის სურათი. წმინდა გრძნობათა მანქანას ცხოვრებამ თვისი ტალახი შესტყორცა და მისი ლამაზი მოქმედება შეაფერხა, მისი მწყობრი ჰარმონია მოშალა. თინას გული ახლა სნეული გულია და მას მთელი ქვეყანა შეძაგდა. სალი, მძლავრი და მხიარული ძარღვის მაგიერათ ახლა შხამი ცოცხლობს და ჰფეთქს ამ გულში და თინას წუთი-სოფელი დაშხამულია მისგან აღარაფერი ახარებს თინას. ბუნების ლხინი და სტვენა-ჭიკჭიკი პირველ სცენაში—თინას გულის ზეიმი იყო, და ისე ეწყობოდა ამ გულის მღერას ,,ვით მუსიკა ქალწულის ხმასა‘‘. ახლა კი ამ გულში სიკვდილი დაბუდებულა და გარშემო ყველაფერს სიკვდილის ფერი ადევს. გაბოროტებულმა თინამ კინაღამ არ აახრა, კინაღამ ფეხით არ გასრისა ,,უშნო, ყვითელ-ნისკარტიანი ბლარტები‘‘. ეს სიტყვები თინას გულის შხამით არიან დაწერილნი.

თინამ დახუჭა თვალები და წუთის ოცნებამ

ისევ ფრთები გააშლეინა საბრალოს, ცხადმა კი იმ წამსვე შეუკვეცა ეს ფრთები და მიწაზე ჩამოაყრევინა.

ასე დასრულდა სულის-მთრგუნავი, სიყვარულის შუქით მოსილი, მწუხარების სურათი.

დიდებული ინგლისელი ფილოსოფოსი—მხატვარი, „ჩვენი დროის წინასწარმეტყველი" კარლეილი, ასე გვიხატავს ჩვენი რჯულისა და ჩვენი ცხოვრების სურათს. „იცი, რა არის სარწმუნოება მწუხარებისა?—მისი ტაძარი, ამ თვრამეტი საუკუნის წინათ ამართული, დღეს ნანგრევია, ხვედრი ეკალთა, ბუთა და ქვემძრომთ ბნელი სამკვიდრო. მაგრამ ნუ გეშის!—შებედე შიგა: იქ ერთ ბნელ, ნანგრევით გადათაღულ პატარა კუთხეში შენ ნახავ კიდევ საკურთხეველსა და მის ღვთიურს, საუკუნოთ ანთებულ ლამპარს".

ეს ლამპარი ადამიანის გულშია ანთებული, და მას ჰკვებავს სიყვარული და მისი წმინდა მოციქული—მხატვრობა—პოეზიაა.

ი. ნაკაშიძე.

ᲣᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ახალი კონსტიტუცია კუნძულ კანდიაზე (კრიტზე).

იდი ხნის უმოწყალო და სასტიკ ბრძოლას შემდეგ სულტანი დათანხმდა კუნძულ კანდიის მცხოვრებთათვის კონსტიტუციის მინიჭებაზე. აი, უმთავრესი მუხლები ამ კონსტიტუციისა.

1) სულტანი ნიშნავს ევროპის სახელმწიფოთა თანხმობით, 5 წლის ვადით, ღენერალ-გუბერნატორს ქრისტიანეთაგან.

2) ღენერალ—გუბერნატორს აქვს უფლება veto (აკრძალვა) დაადვას საერო კრების განაჩენს და ადგილობრივ კანონების მოქმედებას. თვით კონსტიტუციის შეცვლას გარდა, რაც თხოულობს წინასწარ სანქციას სულტანისას, ახალი კანონები შედიან ძალაში ორ თვეს შემდეგ საერო კრების მიღებიდან.

3) არეულობის დროს ღერენალ-გუბერნატორს ნება ეძლევა ოსმალეთის ჯარები მოიხმაროს.

4) ღენერალ-გუბერნიტორი ნიშნავს დაბალ სამხედრო მოხელეთ, სხვებს ნიშნავს თვით სულტანი.

5) ორი მესამედი აფიცრებისა საერო ჯარში უნდა იყოს ქრასტიანი, დანარჩენს ნაწილის მახმადიანები უნდა შეადგენდენ.

6) საერო კრების არჩევნები ხდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. საერო კრება განაგებს ბიუჯეტს (ხარჯთა აღრიცხვას) და არჩევს ღენერალ გუბერნატორის წინადადებათა. კონსტიტუციის კანონების შეცვლისათვის საჭიროა ორი მესამედი ხმის უმეტესობა. თუ არა საერო კრების ძალით, ისე არავითარი კანონის შემოღება არ შეიძლება.

7) ბიუჯეტის გადიდების შესახებ წინადადება არ განიხილება, თუ ის არის შეტანილი ღენერალ-გუბერნატორის მიერ, ან და ადმინისტრატიული რჩევიდან.

8) ძალაში შედის 1887 წლის ფირმანი იმის შესაგებ, რომ საბაჟო გადასახადთა ნახევარი ნაწილი იხმარებოდეს კუნძულის სასარგებლოთ. პორტა ღებულობს თავის თავზე იმ ხარჯის გადახდას, რომელზედაც საერო კრება არ დეთანხმება.

9) ჟანდარმერია უნდა მოაწყოს კომისიამ, რომელში მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე ევროპის აფიცრები.

10) სამოსამართლო საქმის გაუმჯობესობა მიენდობა კომისიას, რომელშიაც ღებულობენ მონაწილეობას აგრეთვე უცხოელი იურისტები.

11) ღენერალ-გუბერნატორი, კანონების თანახმათ ნებას აძლევს წიგნების და გაზეთების გამოცემაზე და სამეცნიერო საზოგადოებათა შედგენაზე.

12) ემიგრანტებს აფრიკიდან შეუძლიათ დასახლება კუნძულზე გუბერნატორის ნებართვით. უცხოელებს უფლების დაურღეველათ, ღენერალ-გუბერნატორს შეუძლია განაძევოს კუნძულიდან ის პირები, რომელთაც ცხოვრებისათვის საშუალება არ მოეპოვებათ და საზოგადოებისათვის მავნებელი არიან.

13) საერო კრება შეუდგება თავის მოქმედებას ექვსი თვე რომ გაივლის ამ დათმობის დამტკიცებას შემდეგ. არჩევნები უნდა მოხდეს 1888 წლის კანონის თანახმათ, ჯერ-ჯერობით კი ღერენალ-გუბერნატორი გამოცემს დროებით განკარგულებებს ამ დადგინებათა შესასრულებლათ.

14) სახელმწიფოები თავდები არიან ამ დათმობათა განხორციელებაზე.

—

ამას წინეთ ჩვენ მოხსენებული გვქონდა რომ სახელმწიფო საბჭოში წარდგენილია პროექტი სამხედრო ბეგრის შეღავათის შემცირების შესახებ. იქვე ვამბობდით, რომ ყველაზე უფრო ამ პროექტის წინააღმდეგი გახდა ფინანსთა სამინისტრო, რომელმაც ამაზე ერცელი მოხსენება წარადგინა. აი, სხვათა შორის რა ცნობებია მოყვანილი

გაზ. „Недѣля"-ას სიტყვით (№ 32) ამ მოხსენებაში განათლების შესახებ რუსეთში: „1867—1870 წლებში ორთა შუა რიცხვი იმ პირთა, რომლებიც უნივერსიტეტში სწავლას ამთავრებდენ, მამობრივ სქესის საერთო რიცხვთან შედარებით შემდეგი პროპორციით გამოიხატებოდა: 1:42,000; 1889—1892 წლებში კი, ე ი. 22 წელს შემდეგ 40,000 სულზე მხოლოთ ერთი ამთავრებდა სწავლას უნივერსიტეტში; ამასთანავე უკანასკნელ წლებში ამათი რიცხვი თან-და-თან კლებულობს. ასე, 1890 წელს სწავლა დაამთავრეს უნივერსიტეტებში 1793 კაცმა, 1891 წ. მხოლოთ 1838 და 1892 წელს სულ 1510 კაცმა. მაღალ სპეციალურ სასწავლებლებში ამავე არა სასიამოვნო გარემოებას ვნიშნავთ. რაც შეეხება სახალხო შკოლებს, იქ სწავლა დამთავრებულთა რიცხვი თუმცალა გადიდდა, მაგრამ აქ სწავლის დამთავრება კიდევ არ ნიშნავს პირველ-დაწყებითი განათლების შეძენას. იმ ჯარის-კაცების რიცხვიდან, რომლებიც 1889—1892 წლებში შევიდენ სამსახურში, $71^{1}/_{2}$ პროცენტმა წერა-კითხვა არ იცოდა; 1890 წელს ამ უკანასკნელთა რიცხვი თითქმის $82^{1}/_{2}\%$ აღემატებოდა. ამნაირათ სახალხო განათლებაც ძლიერ უკანაა ჩამორჩენილი" (Недѣля).

კარცერი და ტიკჭორა.

ძველის ძველი ამბავი.

ვუძღვნი ჩემს მეგობარს ს. მ. კვ—ის.

II. *)

სასადილოდან შემაგდეს პ-რ-და პირ ერთ დაბნელებულ პატარა ოთახში, რომელსაც თურმე „კარცერი" ერქვა და რომელიც ბავშვების მოსაჭკვიანებლათ საუკეთესო იარაღათ მიაჩნდათ ჩვენ უფროსებს. ჯერ გონზე ვერ მოვსულიყავი, რა დავაშავე ან რა მომელის მეთქი, რომ უცებ კარები ჩამიკეტეს და მარტოთ მარტო დავრჩი ბნელ ოთახში. სული როგორც კი მოვითქვი, ცხვირში ისეთი აყროლებული კვერცხის სუნი მეცა, რომ კინაღამ გონება დამებნა. წამსვე ჩემდა უნებურათ შემოვტრიალდი, „ვაი დედა" მეთქი დავიყვირე და რაც ძალი და ღონე მქონდა, კარებს დავეჯახე. ბევრი ვაწექი, ბევრი ვურტყი ხელები, მაგრამ მაინც ვერაფერი დავაკელი. დავიწყე კედელზე და იატაკზე ხელების ფოთ-ალი, მსურდა რამე მენახა, რომ კარებისთვის მიმერტყა, მაგრამ სიახლოვეს არაფერი იყო და შორს წასვლისა კი ძალიან მეშინოდა. დავიწყე ყვირილი და ჯავრობა: ჩქარა გამიღეთ კარი, თორემ მთლათ დავამტვრევ აქაურობას მეთქი. მაინც ხმა არავინ გამცა. ხელები ერთიანათ დამებეჟა და ძალიანაც დავიღალე. ვიგრძენი სისუსტე და უღონობა. დავუწყე მამა ჩემს ყვედრება აქ მოყვანისათვის. — რათ ჩამაგდო ასეთი კაცების ხელში, ნუ თუ ამდენათ აღარ ვუყვარდი მეთქი!.. და წამსკდა ცრემლების ნაკადული. თანაც გუნებაში გადავწყვიტე, როგორც გამათავისუფლებენ, მაშინვე გავიქცევი აქედან, და თუ ეს ველარ მოვახერხე, ხვალ რომ მამა ჩემი მოვა, უსათუოთ წავყვები, აქ არაფრის გულისთვის არ მოვიცდი მეთქი. — მაგრამ, თუ მანამდის არ გამამიშვეს აქედან რაღა ვქნა მაშინ? — გამიელვა უცებ თავში. — როგორ არ გამამიშვებენ, ვუპასუხე მევე ჩემს თავს. ხომ სული შემიგუბდა ამ აყროლებულ ოთახში და შეიძლება კიდეც გავიგუდო. მაშინ ხომ მაგათ უნდა აგონ პასუხი! — ვინუგეშე თავი, მაგრამ ამას სულ სხვანაირი ფიქრი დაერთო: მერე მე რა! ჩემთვის უკეთესი არ არის „თუ გავიგუდები?" ასეთ ტანჯვას გადავრჩები და მაგათ კი მამა ჩემი აყურებინებს მაშინ სეირს!.. ახლა კი ჩემზე უფრო ყველაფერს, მაგ „მგელს" დაუჯერებს... — ღმერთო, შენი მუხლების ჭირიმე, ადრე გაათავისუფლებიე ჩემი თავი და თუ აქედან ადრე არ გამომიშვებ, მაშინ ცოცხალსაც ნუღარ გამომიყვან აქედან, რაღაა მაინც ჩემი სიცოცხლე, გულ მხურვალეთ ვევედრებოდი ღმერთს, მუხლებზე დაჩოქილი და ცრემლები კი მოდიოდა დ მოდიოდა. უცებ ფეხის ხმა მომესმა. ზედამხედველის ხმაც გავიგონე. სწორეთ მათავისუფლებენ, გავიფიქრე და წამოვხტი. გასაღების ჩხრიალიც მომესმა. რაკი მაგათ ასე დამტანჯეს, მოდი ერთს მეც დავტანჯავ მაგენს მეთქი. უცებ გამიელვა თავში. — ამასთან კიდევ მეორეჯერ რომ აღარ ჩამსვან, მოვიგონებ სიკვდილს, ერთს

*) იხ. „კვალი" № 37

შეამჩნევ მაინც. . ჩავჯექი კუთხეში და თავი მოვიმკვდარუნე... კარები გაიღო.

—მიპატიებია დანაშაული. შეგიძლია გამოხვიდე. მე ხმა არ გავეცი, თუმცა ერთი გარეთ შეკუნტრუშვა მთელ სიცოცხლეთ მიღირდა.

—შეხედეთ ამ უსირცხვილოს! აკი დაუძინია! დაუკეტეთ ისევ კარები, იყოს სანამ გამოიღვიძებდეს.

—მე არ მძინავს!—წამომცდა უცებ.

—მაშ რატომ არ იძრევი! დამიყვირა მან, წამატანა ყურში ხელი და გარეთ გამომათრია.

—ხომ ძალიან კარგი იყო? შემეკითხა ის დაცინვის კილოთი.

მე ხმა არ გავეცი.

—ჩანს არ მოგწონებია, გეტყობა ბევრი გიტირია. აწი ნუღარ იეშმაკებ, რაც გითხრათ გაგეიგონე და აღარც დაისჯები. გესმის? თუ კიდევ დააშავე რამე, უარესი სასჯელი მოგელისო. დამექადნა ის...

გაქცევა, რა თქმა უნდა, იმ დღეს ვეღარ მოვახერხე და მეორე დღეს კი მამა ჩემიც აღარ მანახვეს. როგორც მერმე შევიტყე მას უთხრეს თურმე: შენმა შვილმა სახლში წამოსვლა აიჩემა და ამიტომ შენი ნახვა მისთვის ძალიან მავნებელია. ბავში მთლათ გაფუჭდება, თუმცა ახლაც გადიდგულებული და გაფუჭებულია... წარმოიდგინეთ, აქ პანსიონში, ღვინო მოითხოვაო...

მე კი მითხრეს: მამა შენი არ მოსულა და ამ ცოტა ხანში არც მოვა, შენი თავი ჩვენ ჩაგვაბარაო... რა თქმა უნდა, ეს ამბავი ძალიან მეწყინა. აქედან განთავისუფლების ერთათ ერთი იმედი მამის ნახვაზე მქონდა დამყარებული და ახლა კი ეს იმედიც გამიქრა. დავიწყე ტირილი, მაგრამ ამისთვისაც გამიწყრენ,—გაჩუმდი, სხვებს სწავლას უშლიო...

შევეცადე მხოლოთ რამდენიმე მოსწავლეს. ისინი მოვიდნენ ჩემთან და თვისებურათ ვითომ კიდეც დარიგება მომცეს და კიდეც მანუგეშეს.

—უნდა მოითმინო, ხომ ხედავ ძალა მაგათ ხელშია. თუ გინდა, რომ ცოტა გული შეიმსუბუქო, შეგიძლია მამაშენს ბარათი მიწერო, ჩვენი თედორე გაუგზავნისო... მითხრეს იმათ.

ესეც კარგი რჩევა იყო. მართლაც დავიწყე ბარათის წერა: ,,მამილო! რათ მამიძულე! რათ ჩამაგდე სატანჯველში, ნუ თუ არ გებრალები. აქ მე მტანჯავენ, მკლავენ. კაცების მაგიერათ აქ მხეცები ყოფილა. ზედამხედველი ნამდვილი მგელია, და სხვები კიდევ უარესი. გუშინ სულ უბრალოთ აყროლებულ ოთახში დამამწყვდიეს, კინაღამ მოვკვდი. მიშველე რამე, შემიბრალე''...

კიდევ ბევრი რამე მსურდა დამეწერა, მაგრამ უცებ დაიფრინდა ვიღაცა ჩემ წერილს და ხელიდან გამომგლიჯა. მოვიხედე უკან და ტანში გამაჟრიალა. ჩემი წერილი თითონ „მგელს" ხელში ეკავა. ზედამხედველმა წერილი მაშინვე წააკითხა სხვას და რომ შეიტყო მისი შინაარსი, მოვარდა ჩემთან... ბევრი მიყვირა, რა არ მითხრა, მაგრამ არაფერი მახსოვს, რადგანაც ამ წამში მთლათ ერთიანათ გალეჩებული ვიყავი და ყოველივე მოსაზრების გრძნობაც დაკარგული მქონდა.

უკანასკნელი მისი სიტყვები მაინც ჩამწვდა გულში და საშინლათაც დამაღონა. —ამიერიდან არ გაბედო წერა მაგ ენაზედო!—მიბძანა მან, და სასტიკი სატანჯველიც დამინიშნა.. მალე აქაურ ტანჯვასაც შევეჩვიე, მალე ,,კარცერიც'' აღარ წარმოადგენდა ჩემთვის აყროლებულს და სულის შემხუთველ ოთახს. შევეჩვიე ყველაფერ აქაურობას. თან ზოგიერთ მოსწავლეებსაც დავუმეგობრდი და სწავლასაც ხელი მოვკიდე. მალე მეც ისეთი მორჩილი მოწაფე შევიქენი, როგორიც საზოგადოთ სხვები იყვნენ. მეც, სხვებსავით გულში, ენით გამოუთქმელი სიძულვილი მქონდა ჩახვეული ჩვენი უფროსებისადმი, და ყოველივე ღონისძიებას ვხმარობდი, რომ მათთვის რამე სიცუდე მექნა, მე კი დაუსჯელი დავრჩენილიყავი. ჩვენ მოსწავლენი ვცდილობდით გაგვეგულისებინა „ისინი", მიგვეყენებინა მათთვის რამე საწყენი, მოგვეტყუებინა, გამოგვესულელებინა და „ისინი" კი სამაგიეროთ გვსჯიდნენ ჩვენ იმით, რომ ხშირ ხშირათ ,,ერთს'' ან ,,ორს'' გვიწერდნენ, გვტოვებდნენ უსადილოთ, გვაყენებდნენ სამარცხვინოთ კუთხეში, ხან კიდევ გვაჩოქებდნენ, არ გვაძლევდნენ კვირა უქმე დღეს სასეირნოთ წასვლის ნებას, გვამწყვდევდნენ ,,კარცერში'' და ვინ ჩამოთვლის კიდევ რამდენ რამეს არ გვიშვებოდნენ... მე ყველაფერს ვითმენდი. ყველაფრის დაკლებასაც ცოტაოდნათ შევეჩვიე, მაგრამ ხან-და-ხან რომ სადილზე პირი გამიშრებოდა, აღარ დამალავ, ჩვენი ,,ნუნუაც'' მომაგონდებოდა. რა თქმა უნდა, ახლა აღარ წამომცდებოდა:

„ქურიდან ღვინის ამოღება დავიწყებათ-მეთქი", მაგრამ ღვინო რომ გამახსენდებოდა, მასთან ერთათ სოფელიც მამაგონდებოდა. წარმომიდგებოდა თვალწინ ჩვენი დარბაისელი ოჯახი, დედა, მამა, პატარა დაია, ძიძა, ჩვენი სოფლის ბიჭები და გულიც სხვანაირათ ტოკვას დამიწყებდა...

კარგა ხანი გავიდა და სახლიდან კი არავითარი ამბავი არ მომდიოდა. ეს, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო აძლიერებდა ჩემ ტანჯვას და სულის კვეთებას. არას დროს არ ვიფიქრებდი, თუ ჩემი მშობლები, ასე სხვის ანაბარათ მიმატოვებდენ და მერმე ჩემს ამბავსაც აღარ იკითხავდენ. ბოლოს ვღირსე მამაჩემისაგან წერილს. ავფართქალდი სიხარულისაგან, მაგრამ წერილი ისეთი შინაარსის გამოდგა, რომ მისმა წაკითხვამ მთლათ ჩამიშხამა ის სიამოვნება, რომელიც წერილის მიღებაზე ვიგრძენი. მამა მწერდა სხვათა შორის: „შევიტყე თურმე შენ ეშმაკობ, უფროსებს არაფერს არ უჯერებ და ამისათვის ხან-და-ხან კიდეც გსჯიან. სირცხვილი არ არის ჩემთვის, რომ ჩემი შვილი უხეიროთ იქცეოდეს!.. ტყუილათ თავის გამართლება არ დაიწყო. კაი ცხენი მათრახს არასდროს არ დაიკრავს, არც კარგი მოსწავლე მიიყვანს საქმეს იქამდის, რომ მას სასჯელი მიაყენონ. ერთხელ დაგტუქსავენ, მეორეჯერ დაგსჯიან და მესამეჯერ თუ რამე დააშავე ქე გამოგაბუნძულებენ სკოლიდან. სად აპირობ მაშინ წასვლას? სადაც გინდოდეს იქ წაბრძანდი და ჩვენ კი თვალით არ დაგვენახვო. ან კი რათ გვინდებხარ? რათ ივარგებ მაშინ? უკანასკნელი რომა, ღორის მწყემსათაც არ ივარგებ და თოხნა ხომ სად შეგიძლია, ამას დაჩვეული არა ხარ. მამა-პაპეული ადგილის იმედი ტყუილათ ნუ გაქვს. სანამ შენ გაიზრდებოდე, ყველას მოვალეები გაიტაცებენ. ახლა იმისთანა დროში ვართ, რომ ჩვენი ხსნა სწავლაზე არის დამოკიდებული. კარგათ ისწავლი, კაცი გამოხვალ. შენ თავსაც სარგებლობას მოუტან, ოჯახს და ქვეყანასაც.. არ ისწავლი და მაშინ ვაი შენი ბრალი, შენისთანა საწყალი ქვეყანაზე არავინ იქნება, მთელ სიცოცხლეს სიმწარეში გაატარებ.. შენ იქნები მაშინ ქვეყნის ბარგი.. ბალანი აღარ ხარ! ჭკუით იყავი. თუ კარგათ ისწავლი საშობაოთაც წამოგიყვან სახლში და შენი ნახვაც მესიამოვნება და თუ არ ეცდები და ან ღმერთმა დაგიფაროს, მაქედან გამოგაგდეს, მაშინ ათასჯერ მირჩევნია ჩემმა თვალებმა ცოცხალიც აღარ გიხილონ...

პართენ გოთუა.

ქ. ოდესა.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

მეორე შინაგანი სესხის მომგებიანი ბილეთები ამოვიდა ტირაჟში: 15613, 19936, 7990, 8854, 10258, 15982, 18081, 12556, 1848, 8205, 11903, 6858, 2133, 15548, 746, 15281, 13101, 2074, 3867, 15255, 1176, 14384, 3605, 19744, 1652, 4174, 16302, 19419, 12975, 12609, 7518, 2386, 14198, 444, 17026, 14554, 19868, 11479, 5653, 7559, 8967, 3559, 16146, 391, 7972, 16846, 8873, 8979, 17044, 471, 471, 12700, 17740, 12722, 18038, 17339, 15710, 12470, 5787, 4526, 1918, 9954, 6986, 19211, 3663, 2873, 17373, 11655, 2075, 8648, 6391, 9343, 3020, 104, 17885, 16690, 10247, 19056, 16914, 3589, 3530, 4186, 12039, 13206, 4790, 13186, 13510, 5683, 6335, 17983, 5059, 3671, 11945, 6428, 10509, 11685, 19116, 12591, 12397, 16505, 15280, 14043, 15702, 3962, 15463, 1026, 17493, 9486, 7394, 17705, 7945, 957, 15089, 8949, 3923, 9327, 6027, 3834, 13772, 8345, 5312, 13674, 12552, 15690, 9889, 7788, 048, 2630, 19197, 16296, 6179, 1664, 16862, 1076, 12797, 14445, 15285, 6243, 1515, 6229, 16519, 10742, 19016, 14919, 17320, 8580, 17625, 1056, 4435, 12794, 6878, 17805, 16304, 3438, 10945, 17096, 280, 8379, 10177, 7038, 9697, 17992, 8666, 18527, 3324, 9959, 16616, 17828, 14771, 13395, 4932, 16336, 14170, 19829, 874, 1651, 12045, 10080, 17237, 3467, 2012, 19108, 17444, 17283, 10747, 19542, 14990, 8667, 11105, 16240, 6518, 16752, 8476, 13246, 14124, 1152, 609, 2689, 8461, 10966, 18843, 18956, 6856, 12565, 6942, 9091, 6651.

განცხადება

სასწავლებელი და საყმაწვილო ბაღი

ი. ოცხელისა

(ქუთაისში)

გამართულია ვართოლომეევის სახლში დადიანის ქუჩაზე.

სასწავლებელი ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის მოსამზადებელსა და პირველ კლასებისათვის, საყმაწვილო ბაღი მიზნათ იღებს აღზარდოს ყმაწვილები 5—7 წლ სამშობლო ენაზე ფრებელის სისტემით.

სასწავლებელში ყმაწვილები მიიღებიან პირველ სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე, ხოლო საყმაწვილო ბაღში ყოველ დროს მთელი წლის განმავლობაში. თვიური გადასახადი დანიშნულია სასწავლებელში 10 მან. და საყმაწვილო ბაღში 5 მან.

(4—2)

კერძო საავათმყოფო ამბულატორიითურთ ექიმ. ს. ვ. თოფურიასი. ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ოცდა თორმეტი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფებს მიიღებს: ექ. ს. გ. თოფურია.

ხირურგიულ და შარდით ექ. ბ. გ. პრჟევალსკი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და საბებიოს—ქალი—ექიმი. მ. ფ. კაკანი

თვალების ავათმყოფთათვის ექიმი ი. ქ. კარშავსკია.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამის ქირა საავათმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ოპერაციის ფასი გარიგებაზეა.

საავათმყოფოს დირექტორი ს. გ. თოფურია.

(4—3)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთუთხმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავებას შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1896—97 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორკეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშოიოთვით 5) საკომერციო მიწერ მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფულ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდან. ახლათ შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდან. ყოველ დღე დილის 10 საათიდან თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზე, ათვთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოთ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზე.

ვინც ქალაქს გარეშე ცხოვრებს, შეუძლია წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ბ. მანუელიანცს, ტფილისში.

(12—8)

ქ. ქუთაისში

პირველი ენკენისთვიდან მთავრობის ნებართვით იხსნება

საქალებო სკოლა,

რომელსაც მიზნათ აქვს მოამზადოს ბავშვი-ქალიშვილები 7-დან 10 წლამდე სხვა-და-სხვა სასწავლებლების მოსამზადებელი და პირველი კლასებისათვის.

თხოვნები მიიღება

ელენე მერაბის ასულის ლორთქიფანიძის სახელზე,

თბილისის ქუჩაზე ნ. დგებუაძის სახლში. სწავლების ფასი თვეში ხუთი მანეთია.

(3—2)

Доз. ценз. Тифлисъ, 8 Сентября 1896 г. — Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д., № 41.